საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №474
2019 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-18 მუხლის, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების, „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის №5392 კანონის, აგრეთვე, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანება;

ბ) „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №38 ბრძანება;

გ) „საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის №33 ბრძანება;

დ) „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 26 იანვრის №276 ბრძანება;

ე) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 6 თებერვლის №377 ბრძანება;

ვ) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 12 თებერვლის №378 ბრძანება.

2. ეს ბრძანება, გარდა პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**